წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის

გენადი ბალანჩივაძის

2026 წლის ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
TSKALTUBO MUNICIPALITY CITY HALL

ბიუჯეტი 2026

2026 წლის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის განისაზღვრა

38 715, 000 ლარით.

დღეის მდგომარეობით 2026 წლის ბიუჯეტი შეადგენს

72 058,000 ლარს.

ბიუჯეტი 2026

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია

ინფრასტრუქტურის განვითარება - 35 512 300 ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 4 211 300 ლარი;

განათლება - 9 246 900 ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 96 800 ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა- 3150 700 ლარი;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი - 8 343 700 ლარი.

ინფრასტრუქტურა 2026

დასრულდა

სამუსიკო სკოლის შენობისა და სოფელ საყულიის კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 1 117 602 ლარი.







სრულდება

ინფრასტრუქტურა 2026

გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები.
ღირებულება - 594 404 ლარი.







ინფრასტრუქტურა 2026

საგრანტო პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის ფარგლებში დასრულდა
მწვანე ნარჩენების კომპოსტირების საწარმოსათვის ნახევრადღია, ფარდულის ტიპის ლითონის კონსტრუქციის, 35 კვტ სიმძლავრის მზის ფოტოელექტრო სადგურით აღჭურვილი შენობის მშენებლობა. შეძენილ იქნა სპეც.ტექნიკა.







ღირებულება
615000 ლარი.



სკოლების ინფრასტრუქტურა





დასრულდა
სოფელ ბანოჯის, გვიშტიბის, გეგუთის N 2, სორმონისა და მეორე უბნის დაწყებითი საჯარო სკოლების არემონტო სამუშაოები, ღირებულებით -462 850 ლარი.



საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში, ჩართულია მუნიციპალიტეტის 25 საჯარო სკოლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოყოფილია 444 669 ლარი.

კეთილმოეწყო ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზო და ჭიშკარი







საგზაო ინფრასტრუქტურა

- გზები მოეწყო სოფელ ქვიტირში შვიდ ქუჩაზე და სოფელ ყუმისთავის სამ უბანში ღირებულებით - 6 320 792 ლარი.

- დასრულდა სოფ. საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზისა და სოფ. მექვენის გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები ღირებულებით - 1 750 503 ლარი.

- შიდა სასოფლო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის პროექტები განხორციელდა სოფელ ფარცხანაყანევში, გეგუთში, ოფშკვითში, ბენთქოულაში, ყუმისთავსა და საყულიაში; ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში გზის კეთილმოწყობასთან ერთად მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა. ჯამური ღირებულებით - 6 369 080 ლარი





სასმელი წყალი და სანიაღვრე არხები

დასრულდა

- ზედა და ქვედა ქვილიშორში, ასევე სოფ.ყუმისთავში და გუმბრაში სასმელი წყლის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი.
  ღირებულებით -2 832 194 ლარი.

- დასრულდა სოფელ ოფურჩხეთში კინწურაშვილების უბანში წყლის ჭაბურღილისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები.
  ღირებულებით - 212 900 ლარი.



სასმელი წყალი და სანიაღვრე არხები

დასრულდა

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით სხვადასხვა ლოკაციებზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა. ღირებულებით 499 999 ლარი.





სკვერები და სპორტული მოედნები







ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და 2026 წელს დასრულდა სპორტული მოედნებისა და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები: სოფელ რიონში, გუმბრაში, ქვიტირში, უკანეთში, ზედა მესხეთში, ფარცხანაყანევში, ოფშკვითში, მუხიანში;
ქ. წყალტუბოში: კოლხეთის, თბილისის, ბესიკის, 9 აპრილის, თამარ მეფისა და ევდოშვილის ქუჩებზე

ღირებულება 1 445 000 ლარი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები







ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 16 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავებისა და სადარბაზოების შეკეთებითი სამუშაოები. ღირებულება 500 000 ლარი.

ამავე პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 100%-ით დაფინანსდა ქალაქ წყალტუბოში 4 საცხოვრებელ კორპუსში (ჩოლოყაშვილის ქ. N 1; თბილისის ქ. N 1; ბესიკის ქ. N 4 და გურამიშვილის ქ.N 2) ამორტიზირებული ლიფტების ახალი ლიფტებით ჩანაცვლების სამუშაოები.

ღირებულება ერთი მილიონი ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2026

2026 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 704000 ლარი,

ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 335000 ლარი.

დასრულების ეტაპზეა შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია/ მოწყობის, მზა ბეტონის შესყიდვის, სპორტული მოედნებისა და სკვერების კეთილმოწყობის, ფანჩატურების მოწყობის, სასაფლაოების შემოღობვისათვის საჭირო მასალების შესყიდვის სამუშაოები.







მიმდინარე პროექტები

- წყალტუბოში ნინოშვილის, ავალიანის და წერეთლის ქუჩებზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციისა და სოფელ მეჩხერში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
  ღირებულება 1 674 380 ლარი.

- ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს გზების რეაბილიტაცია სოფელ ცხუნკურში, ყუმისთავში, ქვილიშორში, ჩუნეშში, ოფშკვითში, გუმბრაში, ბანოჯასა და სოფ. წყალტუბოში.
  ღირებულება 3 273 273 ლარი.

- ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ქალაქ წყალტუბოში და მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარეობს სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.
  ღირებულება 3 927 540 ლარი.

- მიმდინარეობს ქალაქ წყალტუბოში და მუნიციპალიტეტის სოფლებში სანიაღვრე სისტემების მოწყობა.
  ღირებულება 808 808 ლარი.

- მიმდინარე წელს დაიწყება ინფრასტრუქტურული სამუშაოები: სოფელ გეგუთის №1, ფარცხანაყანევის №4, მაღლაკის №2, ქვილიშორისა და სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლებში.
  ღირებულება 1 021 941 ლარი.

2027 წელს დაგეგმილია

- სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია
- მუნიციპალიტეტში ექვსი ახალი სკვერისა და ოთხი სპორტული მოედნის მოწყობა
- სოფელ გუმბრაში რაგბის მოედნის, თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე ახალი ტექნიკური საფეხბურთო მოედნის, რაგბის მოედნისა და მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა
- 26 მაისის სახელობის ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია
- თერნალის დასახლების, დედაენის, ჭავჭავაძისა და კოლხეთის ქუჩების ურბანული განვითარება
- 2027 წელს დაგეგმილია გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები: სოფელ ქვედა მესხეთში, ქვიტირში, ქვილიშორში, მაღლაკში, გეგუთში, ხომულში, ცხუნკურში, ყუმისთავში სოფელ წყალტუბოში, რიონში, ოფშკვითსა და გუმბრაში - ჯამში 12 სოფელში.

სავარაუდო ჯამური ღირებულება 9,2 მლნ. ლარია

2027 წელს განხორციელდება სოფელ მაღლაკის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის პროექტი







2027 წელს სოციალურად დაუცველ ხუთ ოჯახს აუშენდება ახალი საცხოვრებელი სახლი.

გაგრძელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოებისა და სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა

მოხდება საბავშვო თეატრის ფორმირება

2027-2028 წლებში იგეგმება მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის დანერგვა

2027-2028 წლებში ახალი საბავშვო ბაღები აშენდება სოფელ თერნალსა და ტყაჩირში

ეკონომიკური განვითარება და ქონების მართვა

შენობა-ნაგებობების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 106 562 ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან - 87 780 ლარი.

მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისტრირდა 11 ერთეული უძრავი ქონება. უზუფრუქტის ფორმით გადაცემული იქნა 7 ერთეული უძრავი ქონება.

მომზადდა ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი" 2026-2037 წლები.

მომზადდა სათემო პროექტი: ,,სოციალური ჩართულობისა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა ღია სპორტული სივრცის მოწყობით".

საანგარიშო პერიოდში გაიცა



87 მშენებლობის ნებართვა, 58 ობიექტზე - მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები

103 ნებართვა ხაზობრივ ნაგებობაზე

12 სარეკლამო ბანერის განთავსების ნებართვა

ექსპლოატაციაში იქნა მიღებული 39 ობიექტი

დარეგისტრირდა 6 ბინამთესაკუთრეთა ამხანაგობა

გამწვანება დაკეთილმოწყობა 2026

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6000 მდე ხე დაირგო

სკოლების პირველკლასელებთან ერთად დღეს დაირგო 368 ნერგი





ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები რამდენიმე ძირითად პრიორიტეტს აერთიანებს:

პრიორიტეტები



1. ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა.
2. სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა
3. ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარება
4. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
5. განსაკუთრებული სოციალური საჭიროებების მქონე მოქალაქეთა დახმარება
6. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.



სოციალური პროგრამა



მესამე შვილის შეძენისას ერთჯერადი დახმარება გაეწია 25 ოჯახს

თითოეულზე 600 ლარი.

მეოთხე შვილის შეძენისას დახმარება გაეწია 13 ოჯახს

თითოეულზე 800 ლარი.

მეხუთე შვილის შეძენისას ორმა ოჯახმა მიიღო

1500 - 1500 ლარი.

ერთი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება გაეწია 3 ოჯახს

თითოეულმა ოჯახმა მიიღო 600 ლარი.

2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
TSKALTUBO MUNICIPALITY CITY HALL

სოციალური პროგრამა



დაიწყო
ხუთი ახალი საცხოვრებელი
სახლის მშენებლობა
სოციალურად დაუცველი
უსახლკარო ოჯახებისათვის.

ახალი სამედიცინო ამბულატორია გაიხსნა

სოფელ გუმბრაში.



სოციალური პროგრამა

სოციალურად დაუცველ



3 და მეტ შვილიან 88 ოჯახს გადაეცა

300 ლარი

პირველი და მეორე შვილის შეძენისას გაიცა

1000 ლარი

მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე
99 -მამოქალაქემ მიიღო

300 ლარი

სოციალური პროგრამა

100 წელს გადაცილებულ სამ პირს გადაეცა 2000 ლარი.

დევნილთა 16 ოჯახს სარიტუალო ხარჯებისთვის გადაეცა
400 - 400 ლარი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილეთა მხარდაჭერის ფარგლებში

460-მა პირმა მიიღო 350 ლარი.

2008 წლის 8 აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს დაღუპულ, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 4 ოჯახს გადაეცა

2 000 ლარი

დედ-მამით ობოლი ბავშვების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 6 ბავშვს.

თითოეულს 1500 ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა

თანადაფინანსების ქვეპროგრამით ფინანსდება ქირურგიული ოპერაციები, სამედიცინო კვლევები, და ა.შ.

საერთო წესით, პაციენტის მიერ გადასახდელი დარჩენილი თანხის 50%

ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისთვის გათვალისწინებულია დაფინანსება 100%-ის ოდენობით, არაუმეტეს 1 500 ლარისა.

პროგრამით ისარგებლა 1304-მა პირმა

საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი გადაეცა 15 ოჯახს

79 შშმ პირს გადაეცა სპეც. ტექნიკა



დაგეგმილია

ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის მომსახურების ცენტრის გახსნა.

ამჟამად სარეაბილიტაციო მომსახურების მისაღებად, ქუთაისში გადაადგილება უწევს 70 ბავშვს. მომსახურების ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომობა და სატრანსპორტო მხარდაჭერის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ოჯახებს ყოველდღიურ სირთულეებს და გააუმჯობესებს ბავშვებისთვის საჭირო სერვისების მიღების შესაძლებლობას.





განათლება

2027 წლიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტი გეგმავს ახალი ინიციატივის — „წარჩინებული სტუდენტების ფულადი წახალისების პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისთვის სემესტრის დასრულების შემდეგ 500 ლარის გადაცემას.



ტურიზმი



2026 წლის ამ დროის მონაცემებით რეგისტრირებულია

წყარო N6 - 12 647 დამსვენებელი - წინა წელთან შედარებით 19 %-იანი ზრდა.

წყარო N2 -7892 დამსვენებელი.

დაცული ტერიტორიები მონაცემები 2026





პრომეთეს მღვიმე -230 000 ვიზიტორი

სათაფლია -90 000 ვიზიტორი

თეთრა მღვიმე - 8900 ვიზიტორი.





წყალტუბოში მოქმედი სასტუმროების მონაცემებით ვიზიტორთა რაოდენობა



- “პრომეთე” -15654
- “წყალტუბო პლაზა” -12000_ მდე.
- “წყალტუბო ლეჯენდს სპა რეზორტი” –5500
- “პარკ ჰოტელ წყალტუბო” - 21400
- “წყალტუბო ეპიკ ჰოტელი და სპა” - 5000
- “გრინ ჰოტელი” - 300
- “სასტუმრო ცენტრალი” - 400

კულტურა 2026

- 2026 წელს ჩატარდა 70-ზე მეტი კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიება.
- ჩატარდა საახალწლო კონცერტი და გაიხსნა საახალწლო სოფელი.
- გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი.
- ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წელთან დაკავშირებით გაიმართა ესეების კონკურსი.
- გაიხსნა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის სახელობის სკვერი.
- 2026 წელს ტრადიციულად აღინიშნა სახალხო დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო“.
- ვუმასპინძლეთ დამეგობრებული ქალაქების დელეგაციებს.
- ჩატარდა საერთაშორისო კინოფესტივალი
- გაიმართა საპატიო მოქალაქეთა დაჯილდოების ცერემონია და გალა კონცერტი.

ქორეოგრაფიულ ანსამბლ “ივერიას” მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება და წარდგენილია სახელმწიფო ანსამბლის სტატუსზე.





ბიუსტების ხეივანში დაიდგა პეტრე ჭაბუკიანისა და გიორგი ახვლედიანის ბიუსტები







წარმატებული სპორტსმენები

ალბანეთი.
ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი .
III ადგილი(აკვრაში) -
სალომე კუჭავა.

მონტენეგრო.
ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის,
III ადგილი -
ლუკა ომანაძე.

ალბანეთი.
ევროპის ჩემპიონატი.
II ადგილი -
მარიამ მაისურაძე

წყალტუბოს ხელბურთელთან გუნდი “პრომეთე” გახდა საქართველოს ჩემპიონი

სერბეთი.
ევროპის ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკთა შორის
I ადგილი
გიორგი ქაშიბაძე.

16 წლამდე მორაგბეთა გუნდი “დინოზავრი”, გახდა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი.

ბერლინი.
ბერლინის ევროპის თასი.
III ადგილი -
საბა გველესიანი









საერთაშორისო ურთიერთობები

წყალტუბოში ვუმასპინძლეთ იაპონიის დელეგაციას







საერთაშორისო ურთიერთობები



სამუშაო ვიზიტი საბერძნეთის დედაქალაქ ათენში



ოფიციალური ვიზიტი ბელარუსიაში, ქალაქ პოლოცკში

ვიზიტი ჩინეთში







დელეგაცია იმყოფებოდა
გუიჯოუს პროვინციაში
ქალაქ ანშუნში და გუიანში

დასაქმების პროგრამა 2026

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (მერია, საკრებულო, ა(ა)იპ-ები) დასაქმდა

122 მოქალაქე